თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 13

ქ. თელავი 2018 წლის 15 ოქტომბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ლევან ოთიურიძე, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, არჩილ თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილების უფროსი მალხაზი ბაღუაშვილი, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი გიორგი წიქარაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა

მომხს. დ. ღაღანიძე

2. ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს:1. ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება ქ. თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცებას. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვის (2017 წლის 09 ნოემბრის ხელშეკრულება N410-2017) საფუძველზე გამარჯვებული შ.პ.ს. ,,ატელიე არქიტექსის'' მიერ.

დოკუმენტის დანიშნულებაა ქ. თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებისა და დამტკიცებისათვის, წისაპროექტო კვლევის საფუძველზე თავი მოუყაროს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ადგენენ დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს და ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკონომიკურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა სახის პირობებს. აღნიშნული დოკუმენტი უნდა გახდეს ქ. თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების საფუძველი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (მგგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად.

მოისმინეს: 2. ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვა

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება ქ. თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცებას.

დოკუმენტი შემუშავებულია შ.პ.ს. ,,ატელიე არქიტექსის'' მიერ, მისი მიზანია დაგეგმის ამოცანების და პარამეტრების თავმოყრა, ასევე ტერიტორიული ფარგლების დადგენა. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე უნდა მოხდეს ტერიტორიის განაშენიანების დეტალური დაგეგმვა და რეგულირება.

გადაწყვიტეს: ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე